საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აჭარის მუზეუმი
ქ. ბათუმი

ბრძანება №

31/05/2024

MES 8 24 0001-04/42

სსიპ -„აჭარის მუზეუმები“-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცირის განსაზღვრის შესახებ

,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 3 მაისის N12 და დგენილებით დამტკიცებული სსიპ – „აჭარის მუზეუმი“-ს დებულების მე-5 მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად განისაზღვროს სსიპ - „აჭარის მუზეუმები“-ს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების კოორდინატორი - მერაბ უზუნაძე და შევიდეს შესაბამისი ცვლილებები მის სამუშაო აღწერილობაში;
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ანგარიშვალდებულია სსიპ - „აჭარის მუზეუმები“-ს დირექტორის წინაშე;
3. ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლებითა და ,,ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ინციდენტის შეტყობინების წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის
28 თებერვლის N19 ბრძანებით დადგენილი ინციდენტთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, ასევე, ვალდებულია:
დადგენილი წესის შესაბამისად აღრიცხოს ინციდენტის შესახებ ინფორმაცია და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს;
4. ინციდენტის შეფასება, ინცდინეტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის ალბათობისა და სიმძიმის დადგენა უზრუნველყოს სსიპ- „აჭარის მუზუმები“-ს იურისტმა და ადამიანური რესუსრების მართვის კოორდინატორმა;
5. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა უზრუნველყოს სსიპ „აჭარის მუზეუმები“-ს საქმისწარმოების სამსახურმა;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (ქ.ბათუმი, ლადო გუდიაშვილის N4) ერთი თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით;
7. ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 1 ივნისიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
სსიპ აჭარის მუზეუმი
დირექტორი
ზოიძე თეონა